დანართი №2

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა” დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე
წევრები:
დავით გუდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 430035874

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25/07/2024 MES 1 24 0000904647 ბრძანებით შექმნილმა (შესულია ცვლილება 26/07/2024 MES 6 24 0000909935)ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 2 აგვისტოს (ქ. ვალე, სტალინის ქ. 18).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა.

შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან,პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სასწავლო საწარმოს წარმომადგენელთან.

ვიზიტის დროს დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მატერიალური რესურსი, სასწავლო გარემო. მათ შორის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმების განხილვა, საგანმანათლებლო რესურსის არსებობის შესწავლა,

შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები.

კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითად ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა მონაცემთა მართვის პორტალის (2024 წლამდე CRM. 2024 წლიდან BITRIX) ჩართვა საგანმანათლებლო საქმიანობაში, რომლსაც კონსტრუქტ2 იყენებს სტატისტიკური და ინფორმატიული მონაცემების სისტემატიზებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პორტალზე ავტომატიზებულად ხდება მონაცემების თავმოყრა და პერსონალური ვირტუალური ბარათების შექმნა, რომლებიც ფიქსირდება როგორც, ტელეფონზე შემოსული ზარებიდან ასევე სოციალურ ქსლებში შემოსული შეტყობინებების, კომენტარების და მარკეტინგული აქტივობებისგან. ასევე, შესაძლებელია მონაცემების ხელით შეყვანა იმ შემთხვევაში, როცა დაინტერესებულ პირებთან კონსულტირება ხდება პირისპირ და არა სხვა საკომუნიკაციო არხებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, აღნიშნული პორტალიდან ხდება სტატისტიკური მონაცემების გადმოტანა დიაგრამების სახით; საზოგადოების მხრიდან სფეროების მიმართ მაღალი ინტერესის ანალიზი, რომელიც თანხვედრაში მოდის დამსაქმებელთა საჭიროებებთან.

პორტალზე მონაცემების თავმოყრის ძირითადი მიზანებია მოხდეს მარკეტინგული აქტივობების ხარისხის და ეფექტიანობის განსაზღვრა და დაინტერესებული პირების (პროფესიული სტუდენტები/მსმენელების, პოტენციური დამსაქმებლების) სხვადასხვა სტატისტიკების წარმოება.

პორტალზე ასახული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მქონე პირების ბარათებში შესაძლებელია კომენტარების სახით თითეული მათგანის ინტერესების და საჭიროებების მითითება, რომელიც ეფუძნება სტუდენტური სერვისების კოორდინატორის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვას. პორტალზე ხდება ინტერესების და საჭიროებების გაფილტვრა და დაჯგუფება. რაც წარმოადგენს საფუძველს შემდგომი აქტივობების განხორციელებისთვის.

კოლეჯის საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს კომპანიების მხრიდან თანამშრომლობის შემოთავაზების მრავალი მაგალითი, რომელთა მხრიდანაც საკომუნიკაციო არხად ხშირად გამოყენებულია როგორც სატელეფონო ასევე სოციალურ ქსელში შემოსული შეტყობინება. აღნიშნული მონაცემები ავტომატურად გენერირდება პორტალზე მონაცემების შემდგომი დამუშავების მიზნით. დაინტერესებული პირების შესახებ საინფორმაციო ნაკადის შექმნა, თუ რა ნაბიჯებს გადიან კოლეჯთან კომუნიკაციის შემდეგ: მაგალითად, პირველადი კომუნიკაციის შემდეგ დაინტერესებული პირები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას პროგრამების შესახებ და იმ პირობების შესახებ, რასაც პსდ სთავაზობს ნებისმიერ მსურველს.

მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, დაინტერესებული პირების მონაცემების გადატანა ხდება ან მომლოდინეთა სიაში ან რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრირებულთა ბაზაში. მსგავსად ხდება ყველა ეტაპის მიხედვით მონაცემების გადატანა შესაბამის ველში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების გამოტანა აღნიშნული მიმართულებებით:

- დაინტერესებული პირებიდან რამდენი დარეგისტრირდა;
- დარეგისტრირებული აპლიკანტებიდან რამდენმა გაიარა ჩარიცხვის პროცედურები და დაიწყო სწავლა პროგრამაზე;
- ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები/მსმენელებიდან რამდენი გავიდა საწარმოო პრაქტიკაზე;
- რამდენმა აიღო დიპლომი/სერტიფიკატი;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე რამდენმა გაიარა სწავლის შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტაჟირება;

 რამდენი დასაქმდა (მოინიშნება ბიქეი ან სხვა დამსაქმებელი)

და სხვა

ასევე ნებისმიერი ეტაპიდან გასული პირის მონაცემები გადადის არააქტიური მოანაცემების ბაზაში, სადაც აუცილებლად მითითებულია კომენტარის სახით რა ეტაპზე, რა მიზეზით გამოეთიშა პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორის 2.2.1.1 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20 ნოემბერი 2024) საგანმანათლებლო სივრცეების/AC და B გარემოს აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20 ნოემბერი 2024) პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს მთავრობის დადგენილების (No463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მოთხოვნილი ცნობის წარმოდგენა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.4.1.6 ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასწავლო C გარემოსათვის შემუშავდეს შესაბამისი უსაფრთხოების წესები/ მანიშნებლები და უზრუნველყოფილ იქნას სწავლის დაწყებისთანავე ამ წესების/მანიშნებლების პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობა და აღნიშნულ გარემოში თვალსაჩინო ადგილზე განთავსება. ასევე მიზანშეწონილია C გარემოში განთავსდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთი და ცეცხლმაქრი.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	12 ივლისი 2024 ბრძანება MES 5 24 0000856753
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ვალე, სტალინის ქ. 18
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40 იმიტირებულ სამუშაო გარემოში
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.** კოლეჯის მისიაა „დაწესებულების, როგორც კერძო და საჯარო სექტორის ურთიერთანამშრომლობის პროდუქტის, მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის, სამშენებლო მიმართულებით, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია .

დაწესებულების ხედვაა 2030 წლისათვის წარმოადგენდეს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც შეძლებს მაღალკვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრის უზრუნველყოფას.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა(2020-2026), რომლის თანახმად კოლეჯის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია "შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განხორციელება" აღნიშნული მიზნის ერთ-ერთი ამოცანაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება რაც გულისხმობს ერთობლივი პროგრამების განხორციელებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; კერძოდ:** ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N 167327 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას გასათვალისწინებელი გარემოებები. წესის თანახმად სტუდენტთა კვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით.მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ასევე სხვადასხვა ცვლებში მუშაობის შესაძლებლობა.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამისათვის გარემო მოიწყობა 20 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში, ანუ პროგრამის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. შესაბამისად განაცხადშიც დაფიქსირებულია ზრვრულლი ოდენობა 40 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
დარგის ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი, დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ წარმოდგენილი რესურსი პროგრამის რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით MES 5 24 0000856753 (12/07/2024) აღნიშნული უფლება გაწერილია კოლეჯის წესდებაში(მუხლი 5).
ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროგრამის სახელწოდება - "ელექტროობა" სრულ შესაბამისობაშია მისაღწევ სწავლის შედეგებთან, საგანმანათლებლო სტანდარტთან, პროფესიულ სტანდარტთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია დამტკიცებული საგანამანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;
პროგრამის სწავლის შედეგებად განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს : გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება; გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები; დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში; მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით; გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები; წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD)გამოყენებით შექმნას და წარადგინოს პროექტი.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლებია:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“ პროფესიული სტანდარტები: ¬

მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ოსტატი; ¬

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტი;

¬ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი; კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატოტი (ISCED)

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სამშენებლოკოლეჯ„კონსტრუქტ2ის“დირექტორის ბრძანება MES 5 24 0000856753(12.07.2024) „ელექტროობის“ დამტკიცების შესახებ
- კოლეჯის წესდება
- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება
- საგანმანათლებლო პროგრამა “ელექტროობა” (ძირითადი დოკუმენტი,მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამების შემუშავების, ცვლილების შეტანა და გაუქმების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N 167327 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ„კონსტრუქტ2 ის“ დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის N1052327 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ„კონსტრუქტ2ის“ დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N164208 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შეცვლისა და გაუქმების წესი.
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობა" განხორციელების მისამართია: ქ. ვალე სტალინი 18 პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება რამდენიმე გარემო. ერთი დარგობრივი ინტეგრირებული AC გარემო, რომელიც აღჭურვილი იქნება პროფესიული დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული ინვენტარით და A გარემოსათვის საჭირო მერხებით და სკამებით, მასწავლებლისთვის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, სამუშაო ადგილებით პროფესიული სტუდენტებისთვის და B გარემო, სადაც განხორციელდება დარგობრივი მოდულები „საინჟინრო ხაზვა" და ზოგადი მოდულისათვის " ინფორმაციული წიგნიერება1" , ასევე სხვა მოდულების გარკვეული კომპონენტები.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული B გარემო გამოიყენება მხოლოდ ამ პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტებისათვის.

გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული მოდული „საინჟინრო ხაზვა" განხორციელდება კომპიუტერული პროგრამა AutoCAD-ს სწავლებით.

პროგრამის დანართი N17 წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი მოიცავდა ისეთ მოდულებს, რომელიც არ არის პროგრამაში წარმოდგენილი, ასევე არ იყო დაზუსტებული დარგობრივი მოდულის „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები" განხორციელებისათვის საჭირო რესურსი სრულად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული დანართი, სადაც გასწორებულ იქნა უზუსტობები.
ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის შენობა-ნაგებობა, ასევე პროგრამისათვის „ელექტროობა" განკუთვნილი აუდიტორიები. სარემონტო სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული, შესაბამისად არ არის აუდიტორიები აღჭურვილი დანართი N17 მიხედვით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული კომპონენტის შეფასებული აქვს მეტწილი შესაბამისობით. დარგის ექსპერტი ესაუბრა მშენებლობის მწარმოებელს,კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელს და დაინტერესდა პროგრამისათვის „ელექტროობა" გათვალისწინებული C გარემო თუ მოეწყობა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ : სასწავლო გარემოს ფართი: არანაკლებ 3მ 2 -ისა ერთ სტუდენტზე; ჭერის მინიმალური სიმაღლე 2,5 მ; ელექტროენერგიის სიმძლავრე 220 v.380ვ (3-ფაზა) და სხვა. კოლეჯმა დაადასტურა, რომ მოდელი C სასწავლო გარემოსადმი არსებული მოთხოვნები სრულად იქნება გათვალისწინებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად შენობა დასრულებული და აუდიტორიები აღჭურვილი იქნება 2024 წლის 20 ნოემბრისთვის, ანუ სწავლის დაწყების მეორე ვადისათვის. მშენებლობის მწარმოებელსმაც დაადასტურა, რომ მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს განსაზღვრული გრაფიკით და დამთავრდება დადგენილ ვადებში.

ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამას ახლავს დანართი 1(ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ) დანართის თანახმად ყავს ცხრა ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, ხოლო ორი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. შესაბამისად უზრუნველყოფილია მდგრადობა. აღნიშნულ მასწავლებელთა დატვირთვა არ სცილდება კვირეულ 40 საათს. თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგნელებდა განაცხადეს, რომ ამჟამადაც მიმდინარეობს კადრის მოძიების საკითი და იგეგმება დამატებითი კადრის აყვანა, როგორც ზოგადი , ასევე დარგობრივი მიმართულებით.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები.
დასკვნის პროექტში აღნიშნული კომპონენტი დახარვეზდა რადგან,პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ სამი პირის პირად საქმეში არ არის დაცული სქესობრივ დანაშაულებზე ნასამართლობისა შესახებ ცნობები. კანონის სასაქართველოს მთავრობის დადგენილების(No463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მესამე მუხლის (სქესობრივ დანაშაულებზე ნასამართლევ პირთა ცალკეულ დაწესებულებებში დასაქმების/საქმიანობის აკრძალვა) თანახმად ქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევ პირს ეკრძალება „პროფესიული განათლების შესახებ“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“საქართველოს კანონებით გათვალისწინებული პროფესიული ან სპეციალური პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმება/საქმიანობა: დაწესებულება ვალდებულია კონკრეტულ პირს მოსთხოვოს აღნიშნული ცნობების წარდგენა. აღნიშნული ვალდებულება გაწერილია საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ მუხლი 28(1). პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი. დაწესებულება ვალდებულია მოითხოვოს აღნიშნული ცნობები ყველა თანამშრომლისგან.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა “ შესაბამისობაშია მოსაყვანი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან (No463 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“აქტივობის ვადა განსაზღვრულია 20.11.2024 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილ შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და მათ აქვთ შესაბამისი განათლება, დარგში მუშაობის სტაჟი, ამავდროულად ყველას აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მათ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ :ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ელექტროობა”ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არსებული მტკიცებულებები ადასტურებს პირის სამუშაო გამოცდილებას. ასევე აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის და სწავლების გამოცდილება. აღნიშნული პირი ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აქტიურად თანამშრომლობს დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის მშენებარე საბიბლიოთეკო სივრცე, რომელიც ჯერ დაუმთავრებელია. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ლიტერატურა ელექტრონული სახით, რომელიც სამომავლოდ ასევე განთავსდება ბიბლიოთეკაში და დამუშავდება შესაბამისი წესით. მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იქნება დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩაიტვირთება ელექტრონულ მატარებლებზე. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი ასევე ხელმისაწვდომი იქნება ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის შესაბამისად მოხდება როგორც რესურსის აღრიცხვა დამუშავება, ასევე პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა რესურსით უზრუნველყოფა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამაში მითითებული რესურსის ფლობა. **მითითებული ლიტერატურა/მასალები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.** შენობის დასრულებისანავე, მოხდება მათი მატერიალური სახით ამობეჭდვაც, შესაბამის ელექტრონულ მატარებელზე გადატანა, კატალოგში აღრიცხვა და შესაბამისი წესით დამუშავება.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში არსებული(დამტკიცებული) რეგულაციები ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის საკითხს. აღნიშნული რეგულაცია გაწერილია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში. რეგულაციის თანახმად: “14.3.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს:

ა) სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას;

ბ) სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის წინამდებარე წესის მე-12 მუხლი 12.8. პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას;

გ) საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა პროგრამის ბიუჯეტი სრული თანხით 37076 ლარი. რომელიც დათვლილი იყო 13 პროფესიული სტუდენტის გათვლით, შესაბამისად რენტაბელობის ზღვრარი მითითებული იყო 13 პროფესიული სტუდენტი. ხარჯების სახეობები წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზრაურება (1 საათი 20 ლარი), სულ 1144 საათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მასწავლებლების საშვებულებო და კანონით დადგენილი სხვა ანაზღაურება; ნედლეული და მასალები. წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად ფინანსური ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- კოლეჯის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი; ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მომსახურების ხელშეკრულებები
- დანართები პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო გარემოს შესახებ;
- კომპანია სს ენერგოპრო ჯორჯიასთან დადებული მემორანდუმი
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი" რომლის თანახმად პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი, ფინანსური მენეჯერი და დამსაქმებლები დაწესებულების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად ახორციელებს დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას. პროგრამის შეფასება ასევე გულისხმობს პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებას ბ) მონაცემების დამუშავებას - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზს; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვას ხარისხის მართვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა.

პროგრამის შეფასებას თავ-თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, ხარისხის მართვის მენეჯერი, რისთვისაც ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმების გამოყენებით ელექტრონულ გამოკითხვებს, სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდს და სხვა. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ასევე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის, სტუდენტთა მოძრაობის (ჩარიცხვა, შეჩერება, მობილობა შეწყვეტა, დასრულება) სტატისტიკის შესწავლას; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და მოდულების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას.

არსებული მექანიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას კოლეჯის მხრიდან. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის, უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორს, სასწავლებლის ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს.

აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელმა კომპანიამ შეისყიდა მონაცემთა მართვის პორტალის (2024 წლამდე CRM. 2024 წლიდან BITRIX) მომსახურება, რომლსაც კონსტრუქტ2 იყენებს სტატისტიკური და ინფორმატიული მონაცემების სისტემატიზებისთვის. პორტალზე ავტომატიზებულად ხდება მონაცემების თავმოყრა და პერსონალური ვირტუალური ბარათების შექმნა, რომლებიც ფიქსირდება როგორც, ტელეფონზე შემოსული ზარებიდან ასევე სოციალურ ქსლებში შემოსული შეტყობინებების, კომენტარების და მარკეტინგული აქტივობებისგან. ასევე, შესაძლებელია მონაცემების ხელით შეყვანა იმ შემთხვევაში, როცა დაინტერესებულ პირებთან კონსულტირება ხდება პირისპირ და არა სხვა საკომუნიკაციო არხებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, აღნიშნული პორტალიდან ხდება სტატისტიკური მონაცემების გადმოტანა დიაგრამების სახით; საზოგადოების მხრიდან სფეროების მიმართ მაღალი ინტერესის ანალიზი, რომელიც თანხვედრაში მოდის დამსაქმებელთა საჭიროებებთან. პორტალზე მონაცემების თავმოყრის ძირითადი მიზანებია მოხდეს მარკეტინგული აქტივობების ხარისხის და ეფექტიანობის განსაზღვრა და დაინტერესებული პირების (პროფესიული სტუდენტები/მსმენელების, პოტენციური დამსაქმებლების) სხვადასხვა სტატისტიკების წარმოება. პორტალზე ასახული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მქონე პირების ბარათებში შესაძლებელია კომენტარების სახით თითეული მათგანის ინტერესების და საჭიროებების მითითება, რომელიც ეფუძნება სტუდენტური სერვისების კოორდინატორის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვას. პორტალზე ხდება ინტერესების და საჭიროებების გაფილტვრა და დაჯგუფება. რაც წარმოადგენს საფუძველს შემდგომი აქტივობების განხორციელებისთვის. კოლეჯის საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს კომპანიების მხრიდან თანამშრომლობის შემოთავაზების მრავალი მაგალითი, რომელთა მხრიდანაც საკომუნიკაციო არხად ხშირად გამოყენებულია როგორც სატელეფონო ასევე სოციალურ ქსელში შემოსული შეტყობინება. აღნიშნული მონაცემები ავტომატურად გენერირდება პორტალზე მონაცემების შემდგომი დამუშავების მიზნით.

დაინტერესებული პირების შესახებ საინფორმაციო ნაკადის შექმნა, თუ რა ნაბიჯებს გადიან კოლეჯთან კომუნიკაციის შემდეგ: მაგალითად, პირველადი კომუნიკაციის შემდეგ დაინტერესებული პირები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას პროგრამების შესახებ და იმ პირობების შესახებ, რასაც პსდ სთავაზობს ნებისმიერ მსურველს. მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, დაინტერესებული პირების მონაცემების გადატანა ხდება ან მომლოდინეთა სიაში ან რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრირებულთა ბაზაში. მსგავსად ხდება ყველა ეტაპის მიხედვით მონაცემების გადატანა შესაბამის ველში.

აღნიშნული მონაცემები გამოიყენება როგორც პროგრამის განვითრებისათვის ასევე ახალი პროგრამების განხორციელების დაგეგმვისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კერძოდ: დაწესებულებას როგორც აღვნიშნეთ შემუშავებული აქვს როგორც კვლევის კითხვარები, ასევე კვლევის მეთოდოლოგია. ასევე, წარმოდგენილი იქნა მოდულების შეფასების ფორმები, პროგრამის განვითარების მექანიზმები.

დაწესებულებამ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამების განვითარებას.

ამჟამად პროგრამის ადაპტირებისას განხორციელდა მხოლოდ მცირეოდენი სასწავლო რესურსის დამატება.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან საუბრისას დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ უფრო გააზრებულად შეიტანენ ცვლილებებს. ეს შეეხება როგორც უშუალოდ პროგრამას, ასევე სასწავლო გეგმას. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მონაცემთა მართვის პორტალის (2024 წლამდე CRM. 2024 წლიდან BITRIX) მომსახურების შესყიდვის დოკუმენტი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი"
- კვლევის კითხვარები, შედეგები
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; კერძოდ: დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დანართი 19-ით წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა. განსაზღვრულია საათები დამოუკიდებელი და საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის. კოლეჯში მეცადინეობები ჩატარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებული იქნება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილსა და დაფა და შიდა ჯგუფები ყოველ პარასკევს მიეწოდებათ ხანდახან უფორ ადრე შემდეგი კვირის ცხრილი

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ:** კოლეჯის ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ კოლეჯი მუდმივად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს და ცდილობს მათი ინტერესების გათვალისწინებით წარმართოს სასწავლო პროცესი. დაწესებულება ახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტტებთან ეფექტური უკუკავშირი მეშვეობით რეაგირებს მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია(მუხლი 12), რომლის თანახმად .საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის., რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გეგმის შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

კოლეჯი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას. კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო პროცესში სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით არის დარეგულირებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მობილობის, შეწყვეტისა და შეჩერების წესიც.

როგორც ინდიკატორის 2.3.1.1 აღწერაში აღვნიშნეთ კოლეჯი იყენებს მონაცემთა მართვის პორტალს (2024 წლამდე CRM. 2024 წლიდან BITRIX) რომლის მეშვეობით საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების გამოტანა ასევე
შემდეგი მიმართულებებით:

- დაინტერესებული პირებიდან რამდენი დარეგისტრირდა;
- დარეგისტრირებული აპლიკანტებიდან რამდენმა გაიარა ჩარიცხვის პროცედურები და დაიწყო სწავლა პროგრამაზე;
- ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები/მსმენელებიდან რამდენი გავიდა
საწარმოო პრაქტიკაზე;
- რამდენმა აიღო დიპლომი/სერტიფიკატი;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე რამდენმა გაიარა სწავლის შემდეგ
სტაჟირება;
- რამდენი დასაქმდა (მოინიშნება ბიქეი ან სხვა დამსაქმებელი)

ასევე ნებისმიერი ეტაპიდან გასული პირის მონაცემები გადადის არააქტიური მონაცემების ბაზაში, სადაც აუცილებლად მითითებულია კომენტარის სახით რა ეტაპზე, რა მიზეზით გამოეთიშა პროცესს. შესაბამისად აღნიშნული პარამეტრების დამუშავება იძლევა მომხმარებლის კმაყოფილების სურათს, კოლეჯს საშუალებას აძლევს დროული რეაგირება მოახდინოს **სტუდენტთა , კურსდამთავრებულთა ინტერესებზედა მოქნილად ირეაგიროს შემხვედრ საჭიროებებზე.**

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

კერძოდ:დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისიწნებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებას. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანათლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მასწავლებლები გამოიყენებენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს. მოდულის განხორციელების მიდგომებში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში მოხდება სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება. მოდულებში მითითებული მეთოდები მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტურია.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; კერძოდ: კოლეჯში დამტკიცებულის ბრძანებით, გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. რეგულაცია გულისხმობს გეგმის შედგენას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ინდივიდუალური გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს გაუწევენ შესაბამისი პირები.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამა „ელექტროობა“ განხორციელდება იმიტირებული წესით, რაც გულისხმობს ყველა მოდულის სრულად ადგილზე განხორციელებას, შესაბამისად კოლეჯს არა აქვს ხელშეკრულება.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სსიპ კოლეჯ სპექტრის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესში გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩნის პროცედურები. კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს.
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადში მითითებული აქვს, რომ პროგრამის განხორციელება არ მოითხოვს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესებს. პროგრამა მოიცავს მოდულს “ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში” რომლის შესწავლაც დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით პირველი კვირიდანვე არის გათვალისწინებული, თუმცა

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასწავლო C გარემოსათვის შემუშავდეს შესაბამისი უსაფრთხოების წესები/ მანიშნებლები და უზრუნველყოფილ იქნას სწავლის დაწყებისთანავე ამ წესების/მანიშნებლების პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობა და აღნიშნულ გარემოში თვალსაჩინო ადგილზე განთავსება. ასევე მიზანშეწონილია C გარემოში განთავსდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთი და ცეცხლმაქრი.

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესისა და სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- კომპანია სს ენერგო-პრო **ჯორჯიასთან** დადებული მემორანდუმით
- გასაუბრებით
- საგანმანათლებლო პროგრამით "ელექტროობა"(სასწავლო გეგმით და თანდართული სხვა დოკუმენტები)
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სამშენებლოკოლეჯ„კონსტრუქტ2ის"დირექტორის ბრძანება MES 5 24 0000856753(12.07.2024) „ელექტროობის" დამტკიცების შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობა" (ძირითადი დოკუმენტი,მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი- დამტკიცებულია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის" დირექტორის 2022 წლის 14 ნოემბრის N 1449895 ბრძანებით
- შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დოკუმენტები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ რომლის მეცხრე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, აქვს უფლება გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.სტუდენტებს ინფორმაცია შეფასების თარიღების შესახებ მიეწოდებათ ტელეფონით, სოციალური ქსელით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება.

ადმინისტრაცია გეგმავს, რომ სწავლის დაწყებისთანავე გააცნობს პროფესიულ სტუდენტებს მათ უფლება მოვალეობებს, მათ შორის შეფასების წესსაც.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 11 ნოემბრის 1445047 ბრძანებით დამტკიცებულია “ვერიფიკაციის მექანიზმები”

წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინებით და მტკიცდება დირექტორის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს კონკრეტული ბრძნებით განსაზრვრული პირი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ოქმი და ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს/განმახორციელებელს. დაწესებულებამ თვალსაჩინოებისათვის წარმოადგინა ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ფარგლებში. დასკვნა მოიცავს ფაქტობრივი გარემოებების აღწერილობას და რეკომენდაციებს.ვერიფიკაციის შედეგების გათვალისწინებით დაწესებულება ავითარებს შეფასების სისტემას და მიდგომებს.

ინდიკატორი 2.4.4.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია კოლეჯის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით", რომლის თანახმად: "9.10.შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულების მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად". „91.9.5. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო ინახება დადასტურების კომისიის მიერ საბოლოო დადასტურების შესახებ ოქმის გამოცემიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მატერიალურად არსებული მასალები გადაეცემა არქივს." „პროფესიული სტუდენტის მიერ საბოლოო დადასტურების შესახებ დადასტურების კომისიის ოქმი უთანბრდება უწყისს და ინახება უვადოდ"; „9.15.პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ." აღნიშნული რეგულაციის დაცვას უზრუნველყოფენ კოლეჯის შესაბამისი ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ინდიკატორი 2.4.4.3 შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში არსებული რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.განმახორციელებელი პირი პროფესიულ სტუდენტებს ყოველთვის აძლევს უკუკავშირს, ხდება მასწავლებლებს შორის შეფასების შედეგების განხილვა. მიღებულ შედეგებს დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.4.4.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 11 ნოემბრის 1445047 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიპროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი(დამტკიცებულია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის დირექტორის 2022 წლის 14 ნოემბრის N 1449895 ბრძანებით)
- დასწრების აღრიცხვის ფორმის დამტკიცების დამტკიცების შესახებ. (დანართი 16) დირექტორის ბრძანება N 52ა (2 ივლისი 2024 წ)
- პროფესიული საგანამანათლებლო (დუალური) პროგრამის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის, დასწრების აღრიცხვის ფორმის დამტკიცების შესახებ. სსიპ კოლეჯი სპექტრის - დირექტორის ბრძანება N 122ა (22 დეკემბერი 2022 წ)
- ვიზუალური დათვალიერებით
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

21.08.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: